პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
კვირა
21 ოქტომბერი
№ 243 (17588)
ფასი 2 კაპ.

საბარეჯოს რაიონის პატარძეულის საბჭოთა მეურნეობაში ორას ჰექტარზე მოპყავთ სამრეწველო ჯიშების ყურძენი.

პატარძეულელმა მევენახეებმა, რომლებიც საოქტომბრო ვახტზე დგანან, ვადამდე შეასრულეს დავალება და ღვინის ქარხნებს გეგმის გადამეტებით უკვე გაუგზავნეს შვიდას ცენტნერზე მეტი ყურძენი.

სურათზე: ყურძნის კრეფაში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მევენახემ კომკავშირელმა ლალი უნაფქოშვილმა.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

წარმატებით დავამთავროთ ხუთწლედის მეოთხე წელი!

როგორც უკვე პრესაში ვიუწყებოდით, ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და 1979 სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების ამოცანები.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებს, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს დაავალეს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება ხუთწლედის მეოთხე წლის წარმატებით დამთავრებისათვის, მთავარი ყურადღება მიაპყრონ რესპუბლიკის ამ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების უკიდურესი მიღწევას, რომლებიც გათვალისწინებულია 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებებით — სამრეწველო წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა, ჩამორჩენილ საწარმოთა რაოდენობის შემცირება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ნაწარმის ნომენკლატურის, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებათა შესრულება, მოგების გეგმების განაღდება, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება, საცხოვრებელი ბინების, საავადმყოფოების, სბაგშვო ბაღების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სწმენდი ნაგებობების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა მაქსიმალურად ავამოქმედოთ წარმოების რეზერვები, რომლებიც საწარმოებში, ქალაქებსა და რაიონებში გამოავლინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჯგუფებმა. პარტიის შესაბამისი საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა და ჯგუფების ხელმძღვანელებმა პირადი პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ გამოვლენილი რეზერვების სრული გამოყენებისათვის.

1979 წლისა და მოლიანად მეათე ხუთწლედისათვის დასახული სამრეწველო წარმოების ზრდის მიჯნების მიღწევის მიზნით რესპუბლიკის შესაბამის საგეგმო და სამეურნეო ორგანოებს მითითება მიეცათ აკრძალულ გეგმების შესწორება-შემცირება, ამასთანავე საჭიროდ არის მიჩნეული ვიბრძოლოთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის გაძლიერებისათვის. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა საწარმოები დიდად განსაზღვრავენ მთლიანად რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდას, მიმდინარე სამეურნეო წლის დამლევამდე უნდა უზრუნველყონ მუშაობის ყველაზე მაღალი ტემპი. მათ რიცხვს განეკუთვნებიან ქვების, მსუბუქი, ადგილობრივი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები. რესპუბლიკის აღნიშნულ და სხვა უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი მოქმედი და საექსპლოატაციოდ გადაცემული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესებისათვის. ამ მოთხოვნების შესრულებისათვის მუშაობის ორგანიზაცია დაიკისრათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დარგობრივ განყოფილებათა გამგეებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს მოსთხოვეს განახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა შემცირდეს ჩამორჩენილ საწარმოთა რაოდენობა. მინისტრების, აბსონაგების ო. ი. ლოლაშვილს, ი. ა. ხარატიშვილს, ქალაქების გორის, ფოთის, ტყვარჩელისა და გაგრის პარტიული კომიტეტების მდივნების აბსონაგების ბ. ზ. მაყაშვილს, ბ. დ. გულუას, ვ. დ. ავიბას, ა. კ. გვარამიას ყურადღება მიეპყრო იმას, რომ შეიწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, რომ ზემოთ დასახელებული სამინისტროების სისტემებში, აგრეთვე აღნიშნულ ქალაქებში მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის მანძილზე გაიზარდა ჩამორჩენილი საწარმოების რიცხვი.

ამასთანავე მინისტრებს — აბსონაგების ო. ი. ლოლაშვილს, მ. კ. მაღრაძეს, ნ. ა. მეიმარიაშვილს, ი. ა. ხარატიშვილს, თ. ი. ჟიჩინეიშვილს, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების — „საქთეკმაზრეწის“ საწარმოო გაერთიანების უფროსს ამხ. ო. გ. აბესაძეს, თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორს ამხ. გ. შ. ჯიქიძეს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორს ამხ. გ. ბ. ქაშაკაშვილს, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორს ამხ. ე. ვ. გვენკაძეს დავალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოგების გეგმის შესრულებას.

მეათე ხუთწლედის მეოთხე წლისათვის რესპუბლიკის სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მისაღწევად ფოთაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზესტაფონისა და ახარაძის პარტიულმა ორგანოებმა, სადაც ჩამორჩენა შეიმჩნევა ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლის მიზედვით, ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ იმ საწარმოთა რაოდენობის შესამცირებლად, რომლებიც შრომის ნაყოფიერების ზრდის პროგრამას ვერ ასრულებენ, და მიაღწიონ საგეგმო დავალებათა შესრულებას.

ბათუმის ქიმიურ-ფარმაციევტული ქარხნის (ამხ. ა. ი. კონცელიძე), ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ (ამხ. რ. ნ. სანაკოევი), თბილისის საწარმოო გაერთიანებების: „საქპოლიმერკონტეინერის“ (ამხ. დ. ლ. ჯაველიძე), „საქღვინომანქანის“ (ამხ. კ. თ. დოლიძე), ქარხანა „საქსოფლმანქანის“ (ამხ. თ. კ. სტურუა), ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის (ამხ. ს. ს. მურღოლია), რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის (ამხ. ვ. ნ. პოპიაშვილი), ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების (ამხ. კ. პ. გულუა), რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების — ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს (მინისტრის მოადგილე ამხ. ი. ვ. ჩიჩუა), საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (მინისტრის მოადგილე — ამხ. ა. ლ. ვარდოშვილი), კვების მრეწველობის სამინისტროს (მინისტრის მოადგილე — ამხ. რ. ტ. ჩხაიძე), ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს (მინისტრის მოადგილე — ამხ. ჯ. ნ. ბახტაძე), დამზადების სამინისტროს (მინისტრის მოადგილე —ამხ. ო. ვ. კაციტაძე), მშენებლობის სამინისტროს (მინისტრის მოადგილე—ამხ. ო. ა. ბიბილეიშვილი), სამეურნეო მშენებლობის სამინისტროს (მინისტრის მოადგილე — ამხ. ა. ნ. გლურჯიძე), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (მინისტრის მოადგილე — ამხ. ბ. ნ. გრიგალაშვილი), „საქსახსოფლტექნიკის“ (თავმჯდომარის მოადგილე — ამხ. ვ. დ. კოზაკევი) ხელმძღვანელებმა ასევე უნდა აღმოფხვრან არსებული ჩამორჩენა და უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების წლიური დავალებათა რეალიზაცია.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩაბარების გადიდებისა და დაწესებულ დავალებათა უკიდურესი გადაჭარბების მიზნით უნდა გაითვალისწინონ საზოგადოებრივ მეურნეობებში მემეცხვარეობისა და მეცხოველეობის ზოგიერთი პროდუქტის წარმოებაში მოსალოდნელი ჩამორჩენა და განსაზღვრონ ღონისძიებათა კომპლექსი ამ ჩამორჩენის დასაძლევად მოსახლეობისგან ყურძნის, კვერცხის, ხილის შესყიდვის გზით. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების შესაბამის ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ ამ საქმეში საჭირო სისტემა და დავალებათა ჩაშლის შემთხვევებში მკაცრად მოჰკითხონ პასუხი დამნაშავე მუშაკებს.

საბინაო მშენებლობის დარგში საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, ამ მიზნით გამოყოფილ ასიგნებათა ათვისებისათვის, წლის დამდეგიდან დაშვებული ჩამორჩენის დაძლევისათვის პასუხისმგებლობა ადგილებზე დაეკისრათ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებსა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, ხოლო რესპუბლიკაში — მინისტრებს: მშენებლობისა — ამხ. ნ. ა. მეიმარიაშვილს, სასოფლო მშენებლობისა — ამხ. ი. ა. ხარატიშვილს — ოქტომბრის დამლევამდე დააკომპლექტონ მშენებარე საცხოვრებელი სახლები — როგორც ასამოქმედებელი, ისე სამარაგანმყოფი — საჭირო მატერიალური რესურსებით, მექანიზმებითა და მუშახელით.

მიმდინარე წლის დამლევამდე დარჩენილ პერიოდში დაწესებულია საცხოვრებელი ბინების ჩაბარების დავალებანი —

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს:

ოქტომბერი — 47 ათასი კვადრატული მეტრი,
ნოემბერი — 108 ათასი კვადრატული მეტრი,
დეკემბერი — 145 ათასი კვადრატული მეტრი;

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს:

ოქტომბერი — 8 ათასი კვადრატული მეტრი,
ნოემბერი — 20 ათასი კვადრატული მეტრი,
დეკემბერი — 58 ათასი კვადრატული მეტრი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კომისიას დაევალა ყოველკვირეულად განიხილოს, თუ როგორ ასრულებენ საწესდებო მოთხოვნებს კომუნისტები, რომლებიც პასუხს აგებენ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისების, დაგეგმილი საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის, მკაცრად მოჰკითხონ თითოეულს, ვინც არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ამ საქმეში. ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს რჩება მიეცათ გაავრცელონ მომთხოვნელობის ასეთი სისტემა საქვეუწყებო ორგანიზაციებში.

სამშენებლო ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წლის დამლევამდე შესრულდეს სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა:

საბავშვო ბაღლების 2910 ადგილით, აქედან —	**პასუხისმგებელნი — საქალაქო და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარენი**
ქ. ბათუმში 140 ადგილით	ამხ. გ. ჰ. ემირიძე
ქ. გაგრაში 140 ადგილით	ამხ. დ. მ. დოლნაძე
ქ. ქუთაისში 140 ადგილით	ამხ. გ. ს. აბზიანიძე
ქ. სოხუმში 280 ადგილით	ამხ. ვ. ტ. მიქანაბა
ქ. წყალტუბოში 140 ადგილით	ამხ. რ. ვ. ალბიანი
ქ. ცხინვალში 140 ადგილით	ამხ. ა. ა. შავლოხოვი
ქ. ჭიათურაში 140 ადგილით	ამხ. ო. მ. გოგატიშვილი
ასპინძის რაიონში 140 ადგილით	ამხ. გ. ი. წითლანაძე
გალის რაიონში 140 ადგილით	ამხ. ნ. ა. თოდუა
გარდაბნის რაიონში 140 ადგილით	ამხ. ა. მ. დაშდამიროვი
დმანისის რაიონში 100 ადგილით	ამხ. მ. მ. გულიევი
მახარაძის რაიონში 140 ადგილით	ამხ. ო. გ. თენეიშვილი
მცხეთის რაიონში 140 ადგილით	ამხ. თ. ჰ. პეტრიაშვილი
სამტრედიის რაიონში 140 ადგილით	ამხ. ლ. დ. ჩხეიძე
და სხვა.	

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა 1700 სამოსწავლო ადგილით, აქედან —	**პასუხისმგებელნი — საქალაქო და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარენი და თავმჯდომარეთა მოადგილეები**
ქ. თბილისში № 65 სასწავლებელი 320 ადგილით	ამხ. ნ. ა. ქვანია
ქ. ფოთში № 12 სასწავლებელი 240 ადგილით	ამხ. გ. გ. ალხალეიშვილი
ხაშურის რაიონში № 4 სასწავლებელი 240 ადგილით	ამხ. ო. გ. ხაჯაველიძე
ქობულეთის რაიონში № 90 სასწავლებელი 480 ადგილით	ამხ. ი. მ. წულუკიძე
თელავის რაიონში № 127 სასწავლებელი 480 ადგილით	ამხ. ა. ა. მარგალიტაშვილი
ხობის რაიონში № 30 სასწავლებელი 200 ადგილით	ამხ. ლ. ლ. ბუკია

საავადმყოფოებისა 185 საწოლით, აქედან—	**პასუხისმგებელნი**
ქ. თბილისში № 1 საქალაქო საავადმყოფოს უროლოგიური კორპუსი 150 საწოლით	თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ი. ბარბელიძე
დმანისის რაიონში —სოფელ გომარეთის საავადმყოფო 35 საწოლით	რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. მ. გულიევი

ამ და სხვა სოციალური დანიშნულების დიდმნიშვნელოვან ობიექტებთან ერთად გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ გადაეცეს საწმენდი ნაგებობანი ქალაქ ქუთაისში (პასუხისმგებელი — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ს. აბზიანიძე).

რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოების კომუნისტ ხელმძღვანელებს — ამხანაგებს ნ. ა. მეიმარიაშვილს, ი. ა. ხარატიშვილს, მ. ა. ციესკარიშვილს, ა ნ. საგანელიძეს, შ. მ. ეცადაშვილს, გ. ტ. გოგოლაძეს, შ. პ. აფაქიძეს, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მდივნებს დაევალათ განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა დროზე ამოქმედდეს და გადაეცეს საექსპლოატაციოდ საწარმოო დანიშნულების ობიექტები, ათვისებულ იქნეს ახლად ამოქმედებული სიმძლავრენი:

— რუსთავის ქიმიური ქარხნის მინერალური სასუქების საწარმოო სამი სიმძლავრე;
— ენგურჰესის მეოთხე აგრეგატი;
— ქ. ჭიათურაში სარეკონსტრუქციო საფლოტაციო ფაბრიკა;
— მეცხოველეობის კომპლექსები და სხვ.

დასახულია აგრეთვე ვანხორციელდეს საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები, რათა სამონტაჟო ორგანიზაციებს შეექმნათ ფრონტები 1980 წლის ისეთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასამოქმედებელ ობიექტებზე, როგორიც არის:

— რუსთავის ქიმიური ქარხნის მანგანუმის ელექტროლიზური ორანგის საამქრო;
—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარეკონსტრუქციო ბრძმედი;
— ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს სადნობი ღუმელები.

მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გათვალისწინებით რესპუბლიკის ეაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობის, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებისა და უწყებების უპირველეს ამოცანად არის მიჩნეული შეასრულონ 1979 წლისათვის დაწესებული საცალო საქონელბრუნვის გეგმა და დამატებითი დავალებანი, განუხრელად ამაღლონ მომსახურების კულტურა, სრულყონ მომსახურების ყველა სფეროს საქმიანობა.

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებს რჩება მიეცათ ადგილებზე გამწყობ ფართო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რათა უკიდურესად გადაწყვიტონ აღნიშნული დადგენილებით დასახული ამოცანები, დარაზმონ საამისოდ მშრომელთა კოლექტივები, აამაღლონ ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობა თავიანთ თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებისათვის, რათა ღირსეული წვლილი შეამატონ XXV კონგრესის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, წარმატებით დაიპყრონ ხუთწლედის მეოთხე წელი და მთელი მეათე ხუთწლედის მიჯნები.

(საქინფორმი).

ცნობა 20 ოქტომბრისათვის

გეგმის შესრულებას 38.397 ტონა აკლია

ყურძენი—მარნებში!

19 ოქტომბერს მოიკრიფა 10.140 ტონა — 1.180 ტონით მეტი 18 ოქტომბერთან შედარებით.

სულ დამზადებულია 536.603 ტონა. გეგმა შესრულებულია 93,3 პროცენტით.

გეგმა გაანაწილდა მაიაკოვსკის რაიონმა, სადაც საგეგმო 16 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 16.004 ტონა ყურძენი.

მალე შეასრულებენ გეგმას რაიონები: თერჯოლისა — 98,1 პროცენტი, ყვარლისა — 96,4 პროცენტი, ჩხოროწყუსი — 96,1 პროცენტი, ამბროლაურისა — 97,5 პროცენტი.

გეგმის შესრულების მხრივ ჩამორჩენილ რაიონებში ერთი დღის განმავლობაში მოიკრიფა: დუშეთისაში — 105 ტონა, ხაშურისაში — 176 ტონა, წალენჯიხისაში — 39 ტონა, ონისაში — 8 ტონა, ცაგერისაში — 149 ტონა. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 19 ოქტომბერს მოიკრიფა 188 ტონა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 96 ტონა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 68 ტონა.

კახეთის რაიონებში დამზადებულია 369.965 ტონა საგეგმო 370.400 ტონის ნაცვლად. 19 ოქტომბერს მოიკრიფა 5.869 ტონა.

ქართლის რაიონებში საგეგმო 78.590 ტონის ნაცვლად დამზადებულია 59.522 ტონა ყურძენი. ერთ დღეში მოიკრიფა 1.833 ტონა.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში საგეგმო 126.010 ტონის ნაცვლად დამზადებულია 107.116 ტონა ყურძენი. 19 ოქტომბერს მოიკრიფა 2.438 ტონა.

დადგა ყურძნის კრეფისა და დამზადების გადამწყვეტი დღეები. იმაზე, რაოდენ ოპერატიულად გარდაქმნიან მუშაობას, როგორ წარმართავენ სამეურნეო-ტექნიკურ ღონისძიებებს, დამოკიდებულია რესპუბლიკის მიერ გეგმის შესრულების ბედი. თავის მხრივ, რაიონებმა, რომლებმაც უკვე შეასრულეს გეგმა, როგორც ამას მოწინავე კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი აკეთებენ, უნდა განაგრძონ ყურძნის დამზადება.

(საქინფორმი).

ნავსადგურელთა მრომითი წარმატება

ფოთი. (საკ. კორ. გ. ნოდია.). ფოთის სავაჭრო საზღვაო ნავსადგურის კოლექტივმა, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების დროშით იბრძვის მეათე ხუთწლედის გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, სახალხო-სამეურნეო ტვირთბრუნვის იანვარ-სექტემბრის გეგმა 112,9 პროცენტით შეასრულა. ამ ხნის განმავლობაში დაგეგმილი 2 მილიონ 835 ათასი ტონის ნაცვლად გადამუშავებულია 3 მილიონ 200 ათასი ტონა ტვირთი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ პირველი საწარმოო რაიონის დოკერ-მექანიზატორთა გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც დავით კულუა ხელმძღვანელობს, მეორე საწარმოო რაიონის № 1 გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადა მიხეილ გერგაულოვის ხელმძღვანელობით. ისინი წარმატებით იყენებენ ტვირთის გადამუშავების ჩქაროსნულ მეთოდებს. 9 თვეში მექანიზატორებმა ვადამდე დაამუშავეს 394 გემი და 22 ათასი რკინიგზის ვაგონი.

ჩაუშვეს მუშა თვალი

ბუჩინ ენგურჰესის № 4 აგრეგატის მუშა თვალი ტურბინის კრატერში ჩაუშვეს. ეს მოვლენა აგრეგატის დამონტაჟების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ტურბინების დამამზადებელი ქარხნის კოლექტივმა დროულად ვერ უზრუნველყო ავანცების მოწოდება, მემონტაჟეებმა დამკვრელური შრომით მოამზადეს სპირალური საკანი და მუშა თვალის ჩაშვება მაინც ხუთი დღით ადრე განახორციელეს.

მუშა თვალის კრატერში ჩაშვების სპეციალური უფლება მოიპოვა მემონტაჟეთა ბრიგადამ, რომელსაც ლ. ტუგოვი ხელმძღვანელობს.

ენგურჰესელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს ახალი შრომითი აქტიურობით უპასუხეს.

თ. ჯეიშვილი,
ენგურჰესის მშენებლობაზე გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს ხელმძღვანელი.

საოქტომბრო ვაჯტზე

დროს უსწრებენ

სამტრედია. (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). ხის დამამუშავებელი კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი — ვ. კოპალეიშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი — გ. გვალია) განვლილ სამ კვარტალში 456 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. წარწარდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება მილიონ 100 ათასი მანეთით გაიზარდა.

საუკეთესო შედეგები აქვთ პარკეტისა და ფანერის საამქროთა (უფროსები — გ. ადეიშვილი, ჯ. ივანიაძე) მუშაკებს, რომლებიც მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებენ. მთელ კომბინატში სახელი გაითქვეს მოწინავე მუშებმა ვ. ცანავამ, ვ. მანკგალაძემ, ნ. გრიგოლიამ, ა. ნერუბაშენკომ, ჯ. მოწონელიძემ და სხვებმა, რომლებიც კარგა ხანია 1980 წლის ანგარიშში მუშაობენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდების პასუხად სამტრედიელმა მეავეჯეებმა გადაწყვიტეს წლიური ვალდებულებით ნაკისრი 14 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვან 25 დეკემბრამდე.

ჩვენი ღირსების საქმე

21 ოქტომბერი კვების მრეწველობის მუშაკის დღეა

წარმატებით ხვდება კვების მრეწველობის მუშაკთა დღეს ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერის“ კოლექტივი.

მოსკოვის ოლიმპიური ახარეზობისათვის აქ დამზადდება 11 დასახელების 140 ტონა ხარისხისნიშნიანი ახალი სპეციალური პროდუქცია.

სურათზე: კონფეტ-შოკოლადის საამქროს მოწინავე მუშები — კომკავშირელები გ. ჯიოევა (მარცხნივ) და დ. შამანაური.

ხ. კილაძის ფოტო.

როგორი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკები თავიანთ ტრადიციულ დღეს?

ამ კითხვით მიმართა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილეს თ. ჯაბადარს ჩვენმა კორესპონდენტმა შ. ამაშუკელმა. აი რა განაცხადა მან:

— მიმდინარე წლის ცხრა თვეში მათ გეგმის გადამეტებით 23,6 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და დასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,7 პროცენტით გაზარდეს წარმოების მოცულობა. პროდუქციის მატების 96,4 პროცენტი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზეა მიღებული.

როცა ამ დარგის წარმატებაზე ვლაპარაკობთ, უპირველესად მეჩაიეთა მიღწევები უნდა აღვნიშნოთ. მეტად რთულ პირობებში, მაღალორგანიზებული და თავდადებული შრომით ჯერ არნახული შედეგი მიღწეული: მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 453 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაი. მეჩაიეებთან ერთად სასურველ წარმატებებს მიაღწიეს „საქჩაის“ საწარმოთა კოლექტივებმაც.

ჯარგად ართმევენ თავს სახელმწიფო გეგმებს და სულ უფრო დამაჯერებელ შედეგებს აღწევენ კვების მრეწველობის მუშაკები სამარკო ღვინოების, კონიაკების, პორ-ფუნთუშეულის, უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების საქმეშიც.

წლიულს ჩვენი ფაბრიკების, ქარხნებისა და გაერთიანების კოლექტივების მუშაობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლით აღინიშნა. დღეისათვის სპეციალურ ხუთკუთხედიანი ემბლემა 463 სახეობის ნაწარმს ამშვენებს. ახლა 398,3 მილიონ მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია მზადდება. წლის ბოლომდე დარჩენილ დროში ეს ციფრი 160 მილიონით და მეტად გაიზრდება. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ სამინისტროს საწარმოებში ფართოდ ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. წლის დამლევამდე ამ სისტემით იმუშავებს 167 საწარმო, ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის — ყველა.

კვების მრეწველობის ყველა მიღწევის საწინდარია ჩვენი სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება. წლიულს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა წყალტუბოსა და ბაკურიანის პურის ქარხნები, ნაბეღლავი, ბაილეთისა და ბანძის ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი ქარხნები, მარნეულის საკონსერვო ქარხნის პირველი რიგი, წნორისწყლის, შილდის, ადეხისა და თელავის ღვინის ქარხნები.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მოწვევების, ახალი ტექნოლოგიის საწარმოო ციკლების ავტომატიზაციის დანერგვას. ჩვენ ავაშენეთ ვაქის დამყარებული სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან. მარტო წელს სამინისტროს სამეურნეო ანგარიშსწორების წესით 30 სამეცნიერო ორგანიზაციასთან აქვს დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც 2 მილიონი მანეთის საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები უნდა შესრულდეს. ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დარგის შემდგომ აღმავლობას.

ამასთან დავძენ, რომ ჩვენს საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად ყველაზე რჩება სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხი. სამინისტროს საწარმოთა მრავალთასიანი კოლექტივის სასახელო შრომითს მიღწევებში სამარცხვინო ლაქად ჩანს სახელმწიფო ქონების დაკარგების ის ფაქტები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში ჩვენს სისტემაში გამოვლინდა, ახლა ყველაფერი იკითხება იმისათვის, რომ არ განმეორდეს მსგავსი მოვლენები.

ამჟამად სამინისტროს საწარმოებში გაცხოველებული მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, რათა წარმატებით დავძლიოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი და ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI კრებას და საქართველოს კომპარტიის XXVI კრებას. სგალისოდ უნდა გადამუშავდეს 480 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, 700 ათას ტონამდე ყურძენი და 30 ათასი ტონა ხილი და კენკრა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად სწრაფი ტემპით შენდება საწარმოო სიმძლავრეები, მიმდინარეობს მოქმედი ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქცია. დანდგარ-მოწყობილობათა მოდერნიზაცია. რესპუბლიკის კვების მრეწველობის დანდგარებისათვის მეათე ხუთწლედში 320 მილიონ მანეთზე მეტი იხარჯება.

როგორც ცნობილია, წელს სექტემბერში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დოკუმენტის საფუძველზე შეადგინეთ პერსპექტიული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კვების მრეწველობის მკვეთრ აღმავლობას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის გზით.

სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია მშრომელთა ცხოვრებისა და სოფლის მეურნეობის ამაღლების საკითხი. სამრეწველო პერსონალის თითოეული მუშაკის საშუალო წლიურმა ხელფასმა 1846 მანეთს მიაღწია, რაც 17,9 პროცენტით აჭარბებს მეცხრე ხუთწლედის ბოლო წლის დონეს. მარტო რვა თვის მონაცემებით, მატერიალური წახალისების ფონდიდან მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს პრემიის სახით 4.450 ათას მანეთზე მეტი მიეცათ, ხოლო მილიონი მანეთი შრომის დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს მოხმარდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა, განსაკუთრებით ქალთა საყოფაცხოვრებო პირობები.

ჩვენი მრეწველობის მუშაკებს მაღალნაყოფიერი შრომისა და კარგი დასვენების ყველა პირობა აქვთ. მომავალში ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად მეტი გაკეთდება. სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებში მძლავრი შრომითი აღმავლობაა სკკპ XXV კრებების გადაწყვეტილებათა ვადამ

„მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა თანამიმდევრულად განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის კურსი, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესების საფუძველზე ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე“.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებიდან.

ხელფასი მაჯულობს

ამჯერად ეს შეეხება რესპუბლიკის 730.000 მუშაკს

საბჭოთა ხალხი დიდი შემართებით იბრძვის სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის განსახორციელებლად. ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოებისა და ეკონომიკური პოტენციალის ზრდამ ხელი შეუწყო თავის მხრივ ეროვნული შემოსავლის გადიდებას. მარტო შარშან ეს შემოსავალი 18 მილიარდი მანეთით გაიზარდა. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა. პროდუქციის მატების სამი მეოთხედი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზეა მიღებული. ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმაც.

წარმოების ეფექტიანობისა და ეროვნული შემოსავლის ზრდა საშუალებას აძლევს ჩვენს სახელმწიფოს მეტი სახსრები გამოყოს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით მიმდინარე ხუთწლედის სამი წლის გეგმა მთლიანად შესრულდა. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 146 მანეთიდან 160 მანეთამდე გაიზარდა. დახმარება და შეღავათები, რომლებიც მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან მიიღო, წელიწადში 5,7 მილიარდი მანეთით გადიდდა.

ამგვარად, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას ეყრდნობა, წარმატებით ხორციელდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლახან მიღებული დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 18 ოქტომბერს თბილისში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი. იგი მიეძღვნა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ჩვენი საზოგადოების წინსვლის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფართო პროგრამისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის არასაწარმოო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა გადასვლას შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, რაც მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში უნდა განხორციელდეს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ადგილს ვუთმობთ მასალებს, რომლებშიც განმარტებულია ზემოაღნიშნული ღონისძიების არსი, მნიშვნელობა, დანერგვის პირობები.

ამაღლებას და კადრების დენადობის შემცირებას შეუწყობს ხელს.

მატერიალური დაინტერესება ყველა მუშაკის კვალიფიკაციის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამჟამად, მაგალითად, არ არის გათვალისწინებული საერთოდ ექიმთა და მასწავლებელთა ხელფასის მომატება. მიუხედავად ამისა მასწავლებელს, რომელსაც უფროსი მასწავლებლის ან მეთოდისტის წოდება აქვს, შრომის ანაზღაურება უფრო მაღალი ექნება. ეს ეხებათ აგრეთვე რთული ოპერაციების შემსრულებელ ქირურგებს, წამყვან ინჟინრებს, კონსტრუქტორებს, არქიტექტორებს, დამპროექტებლებს; თეატრებში — ხელოვნების გამოჩენილ ოსტატებს. მომსახურების სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით ხელფასი ეზრდებათ მასობრივი პროფესიების იმ მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას — მედიცინის დებს, ფერშლებს, ფარმაცევტებს, გამყიდველებს, ბიბლიოთეკარებს, სასწრაფო დახმარებისა და საოპერაციო განყოფილებათა საშუალო სამედიცინო პერსონალს, საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე ქურებთან მუდმივად მომუშავეებს.

ხორციელდება რიგი ღონისძიებებისა, რომლითა მიზანია ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონის თანდათანობითი დაახლოება. ეს უპირველესად ეხება საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. სოფლად მომუშავე ექიმები, ფერშლები და მეანები კი თავიანთ ქალაქელ კოლეგებზე მეტ ხელფასს მიიღებენ.

მომსახურების სფეროს განვითარება უმთავრესად ობიექტების სულ ახალი და ახალი მუშაკებით დაკომპლექტების ხარჯზე ხდებოდა. საგულისხმოა, რომ 1978 წლისათვის 1965 წლთან შედარებით არასაწარმოო დარგში მომუშავეთა რიცხვი 57 პროცენტით გაიზარდა. და ეს მაშინ, როცა წარმოების სფეროში ამავე პერიოდისათვის დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ 34 პროცენტით გადიდდა. ამიტომ მომსახურების სფეროში ანაზღაურების ახალი პირობები შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის უნდა გამოვიყენოთ.

დღეს, **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაუჩქარებლად** სახალხო მეურნეობის ვერც ერთი დარგი ვერ განვითარდება. ჩვენი ქვეყნის მეცნიერული პოტენციალი გიგანტურად იზრდება. 1970 წლიდან ამ დარგის განვითარებისათვის გაღებული სახსრები გაორკეცდა. დროის ამ მანძილზე სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებში მომუშავეთა რიცხვი ერთი მილიონით გადიდდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი ორგანიზაციები საქართველოში და ერქოდ თბილისშიც არ არის ცოტა. კონსტრუქტორების, დამპროექტებლების და იმ მეცნიერ მუშაკთა ხელფასი, რომლებსაც ხარისხი არა აქვთ, საშუალოდ 20 პროცენტით იმატებს. ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და წამყვანი სპეციალისტების ხელფასის ოდენობა მათი მუშაობის ხარისხით განისაზღვრება.

სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების კოლექტივების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას შრომის ნორმირებაც შეუწყობს ხელს.

სოციალურ-კულტურული დარგები — ეს ის არასაწარმოო სფერო გახლავთ, რომელიც მოწოდებულია ჩვენი ხალხის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ზრდას, მათი ჯანმრთელობის დაცვას შეუწყოს ხელი. უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავეს და მიიღეს პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული მშენებლობის განვითარებას.

ჩვენს ქვეყანაში ექიმთა მთელი არმია შრომობს. მეცხრე ხუთწლედში მათი ხელფასები საგრძნობლად გაიზარდა. ახლა საშუალო და უმცროსი პერსონალის, პროვიზორების, ფარმაცევტების, კბილის ექიმების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების სხვა მუშა-მოსამსახურეების ჯერია. შრომის ახლებური ანაზღაურებისას უპირატესობა მიეცემათ იმ უბნებზე დასაქმებულთ, რომლებიც კადრების ნაკლებობას განიცდიან. ეს უპირველესად ამ დარგში მომუშავეთა მრავალრიცხოვან საშუალო სამედიცინო

ანაზღაურების ახალ პირობებზე

ანაზღაურების ახალ პირობებზე

ანაზღაურების ახალ პირობებზე

ანაზღაურების ახალ პირობებზე

ანაზღაურების ახალ პირობებზე

ანაზღაურების ახალ პირობებზე

ანაზღაურების ახალ პირობებზე

ანაზღაურების ახალ პირობებზე

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ

მამია მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ
ვაჭრობის მინისტრი

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ადამიანისათვის, ყველაფერი მისი კეთილდღეობისათვის“ — სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამ კურსის პრაქტიკული ხორცშესხმის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების, მათ შორის ვაჭრობის მუშაკებისათვის ხელფასის მომატება, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდება.

შრომის ანაზღაურების ახალი პირობების სისტემაში დასანერგავად მოსამზადებელი სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობდა.

გადაისინჯა ნორმები, სამუშაოებისა და მუშა პროფესიების ტარიფიკაცია, დაზუსტდა თანამდებობები და პროფესიები სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების მიხედვით, ნაყოფიერი მუშაობა იქნა გაწეული შიდა რეზერვების გამოსავლენად.

მომატება ეხება ვაჭრობის დარგის თითქმის ყველა მასობრივი პროფესიის მუშაკს — გამყიდველებს, მოლარე-კონტროლიორებს, მზარეულებს და სხვ. საცალო ვაჭრობის თითოეულ მუშაკზე წელიწადში ხელფასის მატება საშუალოდ შეადგენს 300 მანეთს, საზოგადოებრივი კვების ქსელში — 285 მანეთს, საბითუმო ვაჭრობაში — 227 მანეთს. მაგალითად, სასურსათო საქონლის ვაჭრობის საწარმოებში უფროს გამყიდველსა და ქურასთან მომუშავე VI თანრიგის მზარეულს ხელფასი (სატარიფო განაკვეთი) გაეზრდება 50 პროცენტით და მეტად, სხვა კატეგორიების გამყიდველებსა და მზარეულებს — 30-40 პროცენტით.

და კიდევ ერთი საგულისხმო ციფრი: რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში ხელფასის საშუალო მატება შეადგენს 23,6 პროცენტამდე, ნაცვლად დადგენილებით გათვალისწინებული 19,5 პროცენტისა საკავშირო ვაჭრობის დარგში.

რომ იტყვიან მომატებაც ამას ჰქვია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანას — საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების ამოცანას, უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში რამდენჯერმე განიხილა ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების საკითხი. სერიოზული კრიტიკა და შეფასება, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა რესპუბლიკის ვაჭრობის სისტემაში არსებულ მდგომარეობას, დიდად დაგვეხმარა იმაში, რომ ხელი მოგვეკიდა ყველა სამსახურის ძირფესვიანი გარდაქმნისათვის, უფრო მობილიზებულად მივდგომოდით ჩვენს სისტემაში შრომის ანაზღაურების ახალი პირობების დანერგვას.

საბჭოთა ხალხისათვის პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვა ძაღ-ღონეს მატებს, ბევრს ავალებს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს მთელ კოლექტივს, თითოეულ მუშაკს — საქმით უპასუხონ ამ ზრუნვას, თავიანთი ყოველდღიური თავდადებული, უმწიკლო შრომით ხარისხობრივად ახალ საფეხურზე, სადღეისო მოთხოვნათა დონეზე აიყვანონ საბჭოთა ვაჭრობის კულტურა, უზრუნველყონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V და VIII პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება.

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ვლადიმერ სოგოლევი,
საქართველოს სსრ
მოსახლეობის
საყოფაცხოვრებო
მომსახურების
მინისტრი

მზადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშაკთათვის ხელფასის მომატების დროულად, ორგანიზებულად ჩატარებისათვის ჩვენი სამინისტროს მთელმა აპარატმა კარგა ხანია, რაც დაიწყო.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეცათ კონკრეტული მითითებები ფოტოკინომომსახურების, სპორტიკინვენტარ მეურნეობის, თეთრეულის რეცხვის და არასაწარმოო საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს სხვა ობიექტებზე შრომის ანაზღაურების ახალი პირობების დანერგვასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებზე.

სპეციალურად მოწყობილ სემინარზე აღნიშნული ღონისძიების ჩატარებისათვის პასუხისმგებელ მუშაკებს განემარტათ მომავალ სამუშაოთა მოცულობა და წესი, აგრეთვე დამატებითი ხელფასის ფონდის გაანგარიშების მეთოდიკა, დადგინდა გამომუშავების მოქმედი ნორმების გადიდების კონკრეტული დავალება ახალი გაანგარიშებითი განაკვეთების შემოღების შესაბამისად, რომლებიც დიფერენციირებულია საწარმოების მიერ ადგილობრივი პირობების მიხედვით. დიდი ყურადღება დაეთმო მომსახურების ნორმატივების დამუშავებას, რომელთა დანერგვა საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავზარდოთ მომსახურების არასაწარმოო სფეროს მუშაკთა დაინტერესება გაზარდონ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, პერსონალის ნაკლები რაოდენობით, და სხვა.

ბევრი და რთული საქმე კვლავაც გველის წინ, მაგრამ უთუოდ დავძლევთ, რადგან იგი ეხება ჩვენი დარგის ათასობით მუშაკის მატერიალურ კეთილდღეობას, მისი ცხოვრების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, რისთვისაც პარტია და მთავრობა დღეინადგ ზრუნავენ.

საკმარისია ითქვას, რომ ხელფასების მომატების ახლანდელ ეტაპზე ახალი სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი ხელფასი გაეზრდება რესპუბლიკის მოსახლეობის მომსახურების არასაწარმოო სფეროში დასაქმებულ ათი ათასობით მოსამსახურეს, მუშასა თუ ხელოსანს. ეს საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის მრავალთასაიანი კოლექტივის საგრძნობი ნაწილია, რომლის კეთილსინდისიერ, ენერგიულ მუშაობაზე, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებაზე დიდად არის დამოკიდებული საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში კულტურისა და ხარისხის შემდგომი ამაღლება, სანიმუშო წესრიგისა და დისციპლინის დამყარება.

ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲘᲗ...

სერგო რიგვავა,
საქართველოს სსრ
პროფესიულ-ტექნიკური
განათლების სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე

იმისათვის, რომ შეეფასოთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემაში სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლას, მოვიყვან ესეთ ციფრებს: მიმდინარე წლის მთელ სისტემაში ხელფასი მოემატება 1050 მუშაკს, ყოველთვიური დამატებითი ფონდი შეადგენს 23 ათას მანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მუშაკის საშუალო ხელფასი გაიზრდება 22 მანეთით ანუ 29 პროცენტით. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სისტემაში მომუშავე ათი ათასამდე მუშაკიდან წინა წლებში ხელფასის განაკვეთები გაეზარდა რვა ათასზე მეტ მუშაკს.

აღნიშნული ღონისძიება სხვადასხვა კატეგორიის მუშაკებზე გავრცელდება. ესენი არიან იმ პროფტექნიკური სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატები, ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, მუშები და უმცროსი მომსახურე პერსონალი, რომლებიც მუშებს ამზადებენ სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებისათვის, სასწავლო-მეთოდიკური კაბინეტის ხელმძღვანელები, მეთოდისტები, კულტურის სახლის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს, აგრეთვე კომიტეტის აპარატის მუშაკები.

უკვე განისაზღვრა თითოეული თანამდებობის მიხედვით ხელფასის განაკვეთის ოდენობა, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩატარდა იმ სასწავლებლებში, რომლებიც კვალიფიციურ კადრებს ამზადებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის.

შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შესაბამისად მუშავდება და თანამიმდევრულად განხორციელდება შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, სამუშაო და სასწავლო დროის დანაკარგების აღმოფხვრის, საშტატო ზედამეტობათა აღმოფხვრის და შიდა რეზერვების გამოვლენის ღონისძიებები.

ხელფასების ახლანდელი მომატება ჩვენი სისტემის მუშაკებს მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის კიდევ ერთ მკაფიო გამოხატულებად მიიჩნიათ. რაც უთუოდ ხელს შეუწყობს პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოეწყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესების შესახებ“.

იმავე დღეს ქართველი სტუმრები ეწვივნენ ქარხანა „კალინინის“, ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობას მშვიდობის პროსპექტზე, მოსკოვის ძერჟინსკის რაიონის სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებს.

● ●

ᲞᲔᲪᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲫᲔᲠᲫᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

მოსკოვი, (საქინფორმის სპეც. კორ.). საქართველოს სსრ იდეოლოგიურ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მუშაობაში, შეხვდა თავის კოლეგებს — ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკის რაიონის წარმომადგენლებს.

პარტიის ძერჟინსკის რაიკომის მდივანმა გ. სალიხოვამ ილაპარაკა რაიონული პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, კოლეგებს გაუზიარა იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ქარუმიძემ მასპინძლებს მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის და გააცნო, როგორ სრულდება რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

„კომუნისტის“ კორესპონდენტი გ. სამსონაძე ესაუბრა რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელებს იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშაკების შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლისათვის, რა მასშტაბით გავრცელდება ეს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიება მათდამი დაქვემდებარებულ კოლექტივებში და როგორ აისახება იგი მათს მომავალ საქმიანობაში.

აი რა განაცხადეს მათ:

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

21-27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ თბილისში მოეწყობა საბჭოთა კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის მეგობრობის კვირეული. ამასთან დაკავშირებით საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა იემენის ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას იემენის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მუჰამედ ნაგი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ახალგაზრდა მუშები და მოსამსახურეები, გლეხები, სტუდენტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა იემენის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რიად აქბარი. საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციას სთავეში უდგას სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ლორთქიფანიძე.

● ●

ᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

თელავი. სამ დღეს მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომთა კადრების მომზადების საბჭოს პლენუმი. მასში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრების თვალსაჩინო მეცნიერები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ასტრონომთა კადრების მომზადების საბჭოს თავმჯდომარემ ვ. სობოლევმა. მეცნიერთა შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. კობაიძე.

პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სკოლების სექციის საქმიანობის შესახებ ანგარიში გააკეთა სექციის თავმჯდომარემ თ. აგიკიანმ, ასტრონომიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და დისერტაციების დაცვის მდგომარეობაზე ილაპარაკეს თავიანთ მოხსენებებში პროფესორებმა დ. მარტინოვმა და ვ. გორბაცკიმ, პროფესორი ე. კონონოვიჩი შეეხო საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მუშაობას.

კეთილდღეობა

რუსუდან ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ შრომის
სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარე

გაძლიერების შესახებ“ საშუალებას მოგვცემს კომპლექსურად გადაეწყვიტოთ ქვეყნის ეკონომიკის მართვის აქტუალური პრობლემები. ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მომსახურების სფერო, სოციალურ-კულტურული დარგი, მეცნიერება, სამმართველო აპარატი. ამ არასაწარმოო დარგების განვითარებაზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების მთავარი მაწარმოებელი ძალის — ადამიანების ფორმირების საკითხი. აქედან ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელი ხუთწლედების განმავლობაში არასაწარმოო დარგები სწრაფად ვითარდება.

არასაწარმოო სფეროში მომუშავეთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხი ყოველთვის იყო და არის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. 1977-1978 წლებში ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის რაიონებში ამ დარგში მომუშავეთა 13 მილიონ კაცს მოემატა ხელფასი, ხოლო წელს კი განაკვეთები და სარგოები არასაწარმოო სფეროს 18 მილიონ მუშა-მოსამსახურეს გაეზრდება, აქედან 730 ათას კაცს ჩვენს რესპუბლიკაში.

მუშაკებს, რომლებსაც ეს ეხება, წლეული ხელფასი საშუალოდ 240 მანეთით, ანდა 18 პროცენტით ეზრდებათ. არასაწარმოო დარგის მუშაკთა ხელფასებს გასადიდებლად სახელმწიფომ 7 მილიარდი მანეთი გაიღო.

ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად არასაწარმოო და საწარმოო დარგებში მომუშავეთა შრომის ანაზღაურების თანაფარდობა ერთმანეთს დაუახლოვდება. საქმე ის გაჩავთ, რომ ამ სფეროების ერთნაირი კვალიფიკაციის მქონე და ერთნაირ პირობებში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება ხანდახან საგრძნობლად განსხვავებულია, წონასწორობის აღდგენა კი მომსახურების სფეროში შრომის ეფექტიანობის

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲘᲗ

● ●

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ

730 000

ᲛᲣᲨᲐᲙᲡ

ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲝᲤᲐ

127 000 000

ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ

ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲛᲝᲛᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ

60600

ᲛᲣᲨᲐᲙᲡ

ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

24 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ



ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ

ᲛᲝᲛᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ 1050 ᲛᲣᲨᲐᲙᲡ

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ

23000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ.

ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

22 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ-ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲝ! ᲐᲐᲛᲐᲦᲚᲔᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ!

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲨᲕᲘᲓᲜᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲝᲛᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

...ს უსხიანი ...სტრიქონები

...ლაკარგეს... ...ექსკავატორი

...ორის მიდამოებში სამუშაოე... ...მდინარე მტკვრის პირას ჩვე... ...ებრივი რიგით მიდიოდა. არა... ...ულებრივი კი იქვე, წყალქვეშ ...ოფილა და „მტკვარწყალმშენის“ ...ტრუსტის მესვეურებმა ამის შე... ...ბ არა იცოდნენ რა.

...როდესაც მდინარის ტოტი და... ...ტეს, მორევში წყლის დო... ...დაიწია და იქიდან შავი, პი... ...ულად უცნობი ფორმის უზარ... ...ზარმა საგანმა ამოჰყო თავი. შე... ...ებში მისი კონტურები თანდათა... ...ით გამოიკვეთა. მშენებლები ...ერ შეშინდნენ — იხტიოლოგ... ...ვის დღემდე უცნობი არსება ...ი არ შემოცურდაო მტკვარში, ...რამ როცა წყალმა კიდევ უფ... ...დაიკლო, ერთმა მათგანმა ...ული ხმით დაიძახა:

— ბიჭებო, ეს ხომ ექსკავატო...

...ართლაც, მდინარის ფსკერზე, ...ამა და სილაში შეფლას ელ... ...ა ვეშაპივით გაწოლილი ვიება ...ექსკავატორი.

...ასაგები გახდა, რომ იგი არ... ...ოლოგიურ ნაპოვნს არ გა... ...ოვნებოდა.

— დიახ, სამწუხაროდ, ჩვენი ...ფილა, — გვითხრეს გორის სა... ...ქალაქო სამშენებლო-სარემონტო ...ტორის უფროსმა ზ. კარაპე... ...ანმა და პარტორგანიზაციის ...ივანმა შ. ნადირაძემ.

...ალოგიკურად, ექსკავატორი ...ბსი ხომ არ არის, ამ ვეებერთე... ...მანქანას ისე როგორ შეელი... ...ეთ, რომ ერთხელაც არ გიცდიათ ...ბი წყლიდან ამოღება?

...როგორც ახლა ირკვევა, 1976 ...წლის ზაფხულში ამ ექსკავატო... ...ით მტკვარში ხრეშს იღებდნენ. ...ქალაქის სამშენებლო-სარემონტო ...ტერორის თვალაცემს თუ დავუ... ...ერებთ, უეცრად წყალი გაშმა... ...ებით მოვარდნილა, ნაპირები ...ოგლეჯია და თერთმეტტონია... ...ექსკავატორიც თან მიუყოლე... ...ია.

...არის ახლა იმ წლის მეტეორ... ...ოლოგიური ცნობებისა და სხვა ...ოვის ვასამართლებელი ქაღალ... ...ების ძებნა და ფრიალი, ექსკავა... ...ორი კი კვლავ უმწეოდ წევს სი... ...ში და გასაკვირი თავის უკა... ...ასკენელ გზას, რომელიც ლითო... ...ების მეორეული დამუშავების ...უწარმოსაკენ მიდის.

...განსაკვირებელია, მაგრამ ფა... ...ქტია, რომ კანტორის ხელმძღვა... ...ლებს ხელი დაუბანიათ და ...ექსკავატორი 1978 წლის 5 მარ... ...ის აქტით ჩამოიწერიათ. დიახ, ...ჩამოიწერიათ და ძვირად ღირე... ...ული სახელმწიფო ქონების ძე... ...ით თავი არ შეიწუხებიათ.

...ეი სწორედ ასეთ წყალში ვადა... ...ტრელთა შესახებ უთქვამს ხალხს, ...ი შემნახავი ქვრდზე უარე... ...ალაო.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

...ელვარდა ...ბრეშის წახნაგები

...ეროფესიით არსებ ფოჩხუა ...მუსიკოსია, მაგრამ საქართვ... ...ელოს სახელმწიფო სიმფონიური ...ორკესტრის სოლისტსა და თბი... ...ლისის I მუსიკალური სასწავლე... ...ებლის პედაგოგს კიდევ აქვს ერ... ...თი გატაცება — ხის მოჩუქურთ... ...ება, ბროლის დამუშავება. ამ საქმიანობას უთმობს იგი მთელ თავისუფალ დროს.

დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ გამოსცადა თავი ა. ფოჩ... ...ბუამ გრაფიკაში, შემდეგ ხეზე მოჩუქურთმება დაიწყო. სხვ კა... ...ბშირის მხატვართა კავშირის წევ... ...რის არსენ ფოჩხუას ოსტატურად ...შესრულებული ნამუშევრები ექს... ...პონირებული იყო ბევრ საკავში... ...რო და რესპუბლიკურ გამოფენა... ...ზე. მისი საუკეთესო ნამუშევრე... ...ბი 1976 წელს ალბომის სახით გამოიცა.

1978 წელს ა. ფოჩხუამ ქუთაი... ...სის მინის ტარის ქარხნის თხო... ...ვნით დაიწყო ბროლის ნაწარმის შექმნა ქართული მხატვრული ორნამენტით. ასეთი ნამუშევარი მას ოცდაათზე მეტი აქვს.

სურათებზე: მინიატურა „მეჩა... ...ეი“ დაამშვენა ბროლის ნაწარმი; „მუზა“ — ა. ფოჩხუას ერთ-ერ... ...თი ნამუშევარი.

ბ. ნახუცრიშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კრიტიკული
გამოსვლის შემდეგ

რედაქციას უპასუხებენ

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო

„უნდა აშენებულიყო, ვისი მიზეზით არ აშენდა?“ — ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში გაზეთი იტყობინებოდა, რომ ჭიანურდებოდა დმანისის რაიონის სოფელ დალარის, წალკის რაიონის სოფელ ხაჩქოს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაგურუს, გეგეჭკორის რაიონის სოფელ კურუზუს და გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარნის სკოლების მშენებლობა.

ამის გამო რედაქციამ მიიღო საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის ჯ. სიხარულიძის პასუხი:.

წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ბაღმარნის სკოლა უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ.

მუშახელის ნაკლებობის გამო მწყობრში ვერ ჩადგა დალარისა და ხაჩქოს სკოლები, ნაგურუს სკოლის მშენებლობის დამთავრებას კი იმან შეუშალა ხელი, რომ მხოლოდ მიმდინარე წლის ივნისში გათავისუფლდა სკოლისათვის გამოყოფილი ტერიტორია.

სამინისტრომ წალკის, წალენჯიხის, გარდაბნისა და დუშეთის რაიონების ხელმძღვანელებთან ერთად იმსჯელა მშენებლობათა მუშახელით უზრუნველყოფის საკითხზე, განაზორიკეთა სათანადო ღონისძიებანი და სკოლები მწყობრში ჩადგა წალკის რაიონის სოფელ ბაშქოფში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლეჯოლიხში, გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალასა და ჯანდარაში, დუშეთის რაიონის სოფლებში უბნისსა და ბაზალეთში.

სამინისტრო ყველა საჭირო ღონისძიებას განახორციელებს დანარჩენი სკოლების მშენებლობის დასაჩქარებლად.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტი

გაზეთში გამოქვეყნებულ იმავე წერილში აღნიშნულ სხვა ფაქტებზე რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტის მმართველი დ. დვალაძე.

ცაგერის რაიონის სოფელ ცხუკუშერის სკოლის მშენებლობა № 4 სამშენებლო ტრესტის გეგმაში 1976 წლიდან არის გათვალისწინებული, მაგრამ სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზის უვარგისობის გამო სამუშაოების დაწყების საშუალება მხოლოდ 1979 წლის ივნისში მოგვეცა. ტრესტმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ობიექტი საექსპლოატაციოდ გადაეცეს მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის.

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი

„კომუნისტის“ 11 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „სიტყვა ახალგაზრდულ ანსამბლზე“ — ნათქვამია, რომ სამტრედიის რაიონის სოფელ გომის მოსახლეობა მოკლებულია კულტურულ მომსახურებას, მხატვრულ თვითმოქმედებაში ახალგაზრდების მეტად მცირე ნაწილია გაერთიანებული, სოფლის კლუბში არ არის მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანმა ნ. ბელეი-შვილმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია.

გაზეთში დაბეჭდილი წერილი განხილიეს გომის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე, დაისახა პრაქტიკული ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დღისა საკითხი გომის სასოფლო საბჭოს ცენტრში საბჭოთა მეურნეობის სახსრებით 500-ადგილიანი კულტურის სახლის აშენების შესახებ. რაისაბჭოს აღმასკომი უახლოეს მომავალში გამოყოფს საჭირო თანხას ხალხური საკრავების შესაძენად, დაკომპლექტება აგიტმხატვრული ბრიგადა და მომღერალთა ჯგუფი.

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი რაისაბჭოს აღმასკომთან ერთად ყველაფერს იღონებს სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ცხაკაიას რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი

„დაპირებას შესრულება უნდა“ — ამ სათაურით 2 აგვისტოს „კომუნისტში“ დაბეჭდილი მოწინავე წერილის გამო ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ბელეანიმ რედაქციას აცნობა:

წერილში აღნიშნული ფაქტი, რომ სოფელ კოტიანეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები რადიოგადაცემებს ვერ უსმენენ, რადგან რადიოხაზი არ არის გაყვანილი, სწორია. რაისაბჭოს აღმასკომმა დაავალა სოფლის მეურნეობის სამმართველოს კოტიანეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას უახლოეს მომავალში გამოუყოს საჭირო თანხა ხალხური საკრავების შესაძენად, დაკომპლექტება აგიტმხატვრული ბრიგადა და მომღერალთა ჯგუფი.

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი

ფუძემდებელი

კორნელი კეკელიძემ, როგორც სწავლულმა ფილოლოგმა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოიხეჭა საპატო სახელი, მაგრამ მისმა სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ მძლავრად გაშალა ფრთები საბჭოთა წყობილების პირობებში. საბჭოთა წყობილებამ შეუქმნა მეცნიერს საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო სარბიელიც.

კ. კეკელიძის თითქმის ყველა ცალკეულ გამოკვლევას და პუბლიკაციას ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა: ქართული, ეროვნული და მსოფლიო, ზოგადკაცობრიული. კ. კეკელიძის შემაჯამებელი ხასიათის ერთ ნარკვევში ვკითხულობთ: „დიდია და განუზომელი მეცნიერული თვალსაზრისით ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა: იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერსპექტივები. მის ძეგლებში, ორიგინალურსა თუ ნათარგმნში, გამოვლინებულია უდაოვო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა. ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყოფელი კავშირი ჰქონდა წინაარიისა და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან, სახელდობრ, სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და დასავლეთევროპულთან. ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერიოდის თარგმანები ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალი დროთა განმავლობაში დაკარგულა და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა“.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ძველი საქართველოს სულიერი კავშირი საქრისტიანო კულტურულ სამყაროსთან, უწინარეს ყოვლისა, ბიზანტიასთან. კ. კეკელიძის გულისყურიც უპირატესად ბიზანტიურ-ქართული კულტურული ურთიერთობის ძირეული პრობლემებისადმი იყო მიპყრობილი. იგი სისტემატურად აქვეყნებდა ძველი ქართული მწერლობის ისეთ საუკეთესო ნიმუშებს, რომლებითაც შეეძინებოდა ჩვენი ისტორიული წარსულის ბევრ ბუნდოვან საკითხს და იმავე დროს საგრძნობლად ივსებოდა მსოფლიო საქრისტიანო მწერლობის ისტორიის თვალსაჩინო ხარვეზები.

თავისი ნაშრომებით კ. კეკელიძემ დაასაბუთა, რომ ქართული ელემენტი აქტიურ როლს ასრულებდა სირიელებთან, სომხებთან, არაბებთან, სლავებთან და ზოგიერთ სხვა ხალხთან ერთად ბიზანტიური კულტურის შექმნაში. კ. კეკელიძე, რასაკვირველია, სათანადო ადგილს უთმობდა ქართველიდან ბერძნულად ნათარგმნ, ხოლო ბერძნულის მეშვეობით ევროპელ ქვეყნებში (მათ შორის სლავურ ხალხთა ქვეყნებში) ფართოდ გავრცელებულ შუა საუკუნეების უკვოპულარეს ლიტერატურულ ნაწარმოებს „სიბრძნე ბალაჰვარისა“ (ვარლაამი და იოდასაფი).

საუცხოო გამოკვლევა მიუძღვნა კ. კეკელიძემ მთარგმნელობის საკითხს ძველ საქართველოში („მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“, თბილისი, 1951). ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ: „ქართველი ხალხი არასდროს არ ყოფილა კულტურულად შემოზღუდული. ის ყოველთვის კურსში იყო იმ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებისა, რომელნიც ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ ეპოქაში, აღელვებდნენ კაცობრიობას. მას მტკიცე კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე კულტურის მატარებელ მრავალ ქვეყანასთან“.

სამწერლო ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემებით, დიდი მონოგრაფიული გამოკვლევებით, წერილებით, ნარკვევებზე. შეიძლება არ დაეთანხმოთ ავტორის კონსტრუქციულ პრინციპებს, შეიძლება სადავო გახადოთ ცალკეული საკითხების მისეული გაშუქება, მაგრამ ყოველი ცილობის გარეშეა კ. კეკელიძის ორტომეულის ორიგინალობა, სისრულე, მოყვანილი ცნობების სიზუსტე, საკითხების დასმისა და გადაწყვეტის სიღრმე, ფილოლოგიურ-ლიტერატურული ანალიზის სიფაქიზე. კეკელიძისეული ლიტერატურის ისტორია ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ახალი სიტყვაა. იგი ღირსეულად უპასუხებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მკაცრ მოთხოვნილებებს, იგი სავალდებულო სამაგიდო წიგნი და სახელმძღვანელოა იმათთვის, ვინც კი რაიმე ინტერესს იჩენს ჩვენი შშობლიური მწერლობის მიმართ.

კ. კეკელიძის ორტომეული ღირსებისამებრ შეაფასეს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი და ქართველოლოგი პაულ პეეტერსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კ. კეკელიძის დიდი ორტომეული იმ პერიოდში შეიქმნა, როდესაც „ქართველი ხალხი თავისი (ეროვნული) განვითარების გადამწყვეტ ფაზაში შევიდაო“. უცხოელი მეცნიერი ხმამაღალა აცხადებდა, კ. კეკელიძის „ათასორასგვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის საქართველოს ინტელექტუალურ ღირსებათა და იმის უფლების დასაბუთება, რომ მან იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით. ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელია“.

ჩვენ საგანგებოდ ვეღარ შეგჩერდებით კ. კეკელიძის ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათებაზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ ის ეკუთვნოდა სახელოვან ქართველ მეცნიერთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის მოთავეობით საფუძველი დაუდო ჩვენი დიდი ეროვნული ქართული კერის — თბილისის უნივერსიტეტს. კ. კეკელიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს და უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო და საუდაქვიონ-საგამომცემლო საქმეს. კ. კეკელიძის თაოსნობით დაარსდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. პირველი შვიდი წლის განმავლობაში იგი თვითონ უშალოდ უძღვებოდა ამ ინსტიტუტის საქმიანობას, როგორც მისი დირექტორი. კ. კეკელიძის სახელს უკავშირდება ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებაც და პირველ წლებში ამ ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის გამგეობა. სხვადასხვა დროს კ. კეკელიძე იყო თბილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსებისამებრ დაუფასა ღვაწლმოსილი პატრიოტი მეცნიერისა და შესანიშნავი მოქალაქის, ახალი სოციალისტური ცხოვრების აქტიური მშენებლის კორნელი კეკელიძის ამაგი ქვეყნის წინაშე. 1941 წელს კ. კეკელიძე აირჩიეს საქართველოს სსრ ახლად დაარსებული მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრად, 1943 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სპეციალური წოდება. კ. კეკელიძე დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

კ. კეკელიძე გარდაიცვალა 1962 წლის 7 ივნისს. მის ნეშტს სამუდამო ბინა მიეჩინა მისივე სათაყვანებელი უნივერსიტეტის ეზოს მიდამოში პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის გვერდით. სწორედ უნივერსიტეტის ეზოს გამო მიმართავდა უკვე ავადყოფი მეცნიერი-პედაგოგი ქართველ ახალგაზრდობას: „ამ ეზოს რომ უახლოვდებით, გაიფერთხეთ ფეხები, რომ არ შემოიტანოთ ამ წმინდა ადგილს მტვური ქუჩური განწყობილებისა“.

კ. კეკელიძე ახლა ისტორიას ეკუთვნის. მისი გარდაცვალებიდან გავიდა 17 წელი. მძიმე და უუნაზოურებელი დანაკლისის სიმწარეკე თანდათანობით უფრო საგრძნობი ხდება. მაგრამ საამოდდ ის დაგვრჩენია, რომ ცოცხლობს, ვითარდება და წარმატებებს აღწევს ის მამულიშვილური საქმე, რომელსაც შესანატრი ერთგულებითა და ფანატიკური გატაცებით ემსახურებოდა ჩვენი დიდი მეცნიერი.

ალექსანდრე ბარამიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

თავდადება

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების მე-100 წლისთავის გამო

გიხაროდეთ და იამაყეთ, ჯაგუკებნ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ იმ პირობებმა, რომელშიაც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, შენახვა და უფროჩუნება უნდა; და თქვენ, ახალგაზრდებო, რომელთაც მომავალში უნდა შეესცვალოთ დღევანდელი ცხოვრების მესვეურები, ეცადეთ წმიდად, უმწიკლოდ და ადამიანთა საკეთილდღეოდ დაიცვათ სოციალისტური ცხოვრების პირობები, რათა გული არ გაუტეხოთ ხალხს, რომელმაც ნდობა და სიყვარული გამოუცხადა ამ ცხოვრებას და არ გაახაროთ მისი მოკულენი.

გაუმარჯოს განახლებულ საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მის წარმატებას და წინსვლას!

კორნელი კეკელიძე

16. V. 61 წ.

ჩვენი კულტურის მშენებელი

უაღრესად საყურადღებოა კორნელი კეკელიძის ძიებანი ქართველ მოღვაწეთა ზეგლილისა ბიზანტიური მწერლობის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

ფასდაუდებელია კორნელი კეკელიძის გამოკვლევათა მნიშვნელობა თანამედროვე ბიზანტინისტიკას, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოუყენებლად ფილოლოგიის თანამედროვე დონეზე თითქმის შეუძლებელია სერიოზული გამოკვლევა ბიზანტიური ლიტერატურის სფეროში.

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე კორნელი კეკელიძე მრავალი კუთხით მუშაობდა, იგი იყო ქართულ ხელნაწერებში ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლების გამომავლინებელი, აღმომჩენი, ამ ძეგლების აღმნუსხველი და გამომკვლეველი.

ჩვენი კულტურის მშენებელი

უაღრესად საყურადღებოა კორნელი კეკელიძის ძიებანი ქართველ მოღვაწეთა ზეგლილისა ბიზანტიური მწერლობის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

ფასდაუდებელია კორნელი კეკელიძის გამოკვლევათა მნიშვნელობა თანამედროვე ბიზანტინისტიკას, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოუყენებლად ფილოლოგიის თანამედროვე დონეზე თითქმის შეუძლებელია სერიოზული გამოკვლევა ბიზანტიური ლიტერატურის სფეროში.

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე კორნელი კეკელიძე მრავალი კუთხით მუშაობდა, იგი იყო ქართულ ხელნაწერებში ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლების გამომავლინებელი, აღმომჩენი, ამ ძეგლების აღმნუსხველი და გამომკვლეველი.

ნაშრომი, ერთი მხრივ, ენციკლოპედიური ხასიათისაა და ამასთან ერთად ლიტერატურული პროცესის წარმომჩენი და განმაზოგადებელი. ეს კურსი კორნელი კეკელიძემ დაიფიქრა საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის განვითარების საკვანძო პრობლემების თეორიულ და მონოგრაფიულ დამუშავებაზე.

კორნელი კეკელიძის მეცნიერული შემოქმედების მნიშვნელობა ცდება ქართველოლოგიის ფარგლებს. დიდი მეცნიერი ქართულ ლიტერატურას არ იკვლევდა როგორც თავისთავში ჩაკეტილ ერთი ერის ლიტერატურულ საქმიანობას. იგი ქართველი ერის ლიტერატურულ აზროვნებას სამართლიანად უკავშირებდა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს, განიხილავდა ამ პერიოდის დიდ ლიტერატურებთან კონტაქტში და პირველ რიგში დიდ ბიზანტიურ მწერლობასთან მჭიდრო ურთიერთობაში.

სწორედ ამიტომაც მის მეცნიერულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს. კორნელი კეკელიძის სწორედ ამ მიმართულებით მოღვაწეობამ გამოიჩინა ძველი ქართული მწერლობის მსოფლიო მნიშვნელობა, დაანახვა დასავლეთის თანამედროვე ბიზანტინისტიკას, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოუყენებლად ფილოლოგიის თანამედროვე დონეზე თითქმის შეუძლებელია სერიოზული გამოკვლევა ბიზანტიური ლიტერატურის სფეროში.

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე კორნელი კეკელიძე მრავალი კუთხით მუშაობდა, იგი იყო ქართულ ხელნაწერებში ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლების გამომავლინებელი, აღმომჩენი, ამ ძეგლების აღმნუსხველი და გამომკვლეველი.

ნაშრომი, ერთი მხრივ, ენციკლოპედიური ხასიათისაა და ამასთან ერთად ლიტერატურული პროცესის წარმომჩენი და განმაზოგადებელი. ეს კურსი კორნელი კეკელიძემ დაიფიქრა საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის განვითარების საკვანძო პრობლემების თეორიულ და მონოგრაფიულ დამუშავებაზე.

კორნელი კეკელიძის მეცნიერული შემოქმედების მნიშვნელობა ცდება ქართველოლოგიის ფარგლებს. დიდი მეცნიერი ქართულ ლიტერატურას არ იკვლევდა როგორც თავისთავში ჩაკეტილ ერთი ერის ლიტერატურულ საქმიანობას. იგი ქართველი ერის ლიტერატურულ აზროვნებას სამართლიანად უკავშირებდა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს, განიხილავდა ამ პერიოდის დიდ ლიტერატურებთან კონტაქტში და პირველ რიგში დიდ ბიზანტიურ მწერლობასთან მჭიდრო ურთიერთობაში.

სწორედ ამიტომაც მის მეცნიერულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს. კორნელი კეკელიძის სწორედ ამ მიმართულებით მოღვაწეობამ გამოიჩინა ძველი ქართული მწერლობის

დიდი ფილოლოგი

ქართულ ლიტერატურას დიდი წარსული და მდიდარი ტრადიციები აქვს. ქართული ენაზე იქმნებოდა ორიგინალური მხატვრული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები, ასევე ითარგმნებოდა თავისი დროის მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ძეგლები, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ უმდიდრესი მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას ფაქტობრივ მხოლოდ მეოცე საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. მართალია, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით კ. კეკელიძის წინამორბედებსა და თანამედროვეთ, მაგრამ ამ დარგში აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დამსახურება სრულიად განსაკუთრებულია. კ. კეკელიძეს ეკუთვნის პირველობა ძველი ქართული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობის დასაბუთებაში. მის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი ძველი ქართული მწერლობის ბევრი უნიკალური ძეგლის მიკვლევა, მათი შემნახველ დროისა და ადგილის, მათი წარმომავლობის დადგენა და პუბლიკაცია, ამ ძეგლების სწორეპოვარი მხატვრულ-ლიტერატურული, ისტორიული და ენობრივი (გრამატიკულ-ლექსიკური) ანალიზი.

ლიტერატურათმცოდნეობა ფართო პროფილის მეცნიერებაა. იგი მოითხოვს ღრმად განსწავლულობას ენათმეცნიერებაში, ისტორიაში, ფილოსოფიაში, ესთეტიკაში, ეთნოგრაფიაში, ფოლკლორში. კ. კეკელიძის მეცნიერულ გამოკვლევებში ყველაფერი ეს ნათლად ჩანს. მან თანაბრად იცოდა ძველი და ახალი დროის მეცნიერების მიღწევები და ლიტერატურის მომიჯნავე დარგებშიც პირველხარისხოვან შრომებს ქმნიდა. კლასიკური, აღმოსავლური და უცხოური ენების ცოდნა კ. კეკელიძეს ხელს უწყობდა ეკვლია ძველი ქართული ლიტერატურის წყაროები, გამოეკვლინებინა ბევრი ახალი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეული, შეენიშნა ძველი ქართულის სინტაქსურ-მორფოლოგიური თავისებურებანი.

ძველი ქართული ტექსტების ცალკეული ენობრივი თავისებურებანი დიდ ფილოლოგს ყოველთვის ზუსტად აქვს მიგნებული და ფაქიზად აღწერილი. კ. კეკელიძემ საგულდაგულოდ შეისწავლა ქართული ლიტერატურის უძველესი პერიოდის ძეგლები ენობრივი შედგენილობის თვალსაზრისით და მოხერხებულად გამოიყენა მიღებული შედეგები ტექსტების დაწერის დროისა და ადგილის განსაზღვრისთვის. საერთოდ, ტექსტოლოგიური მუშაობის დროს კ. კეკელიძე უპირველეს და ადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა სათანადო მასალის ენის წინასწარ მეცნიერულ შესწავლას. ტექსტის ენაზე ხანგრძლივი და გონებამახვილური დაკვირვების შედეგად მან შეძლო მართებულად ამოეკითხა და გაესწორებინა ქართული ენის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლების დამახინჯებული ადგილები, გაემართა ტექსტი და აღედგინა შესაფერისი წაკითხვა.

აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ დაგვიტოვა მდიდარი მემკვიდრეობა, რომელშიც რთულ და საინტერესო საკითხებზე ამომწურავ პასუხებს იპოვნიან ლიტერატურათმცოდნენი და ენის ისტორიკოსები. ამ მემკვიდრეობას მადლიერებით ითვისებს და მის მეცნიერულ დამუშავებას განაგრძობს დიდი მეცნიერის და პატრიოტის მრავალრიცხოვან გამოკვლევებზე აღზრდილი თაობა.

ივანე ჯავთარაძე,
პროფესორი.

სამაგიდო წიგნი

კ. კეკელიძემ მთელი სიცოცხლე შესწირა ქართული ლიტერატურის კულტურულ-ისტორიული (ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო, ქართველოლოგიური და ზოგადმეცნიერული) მნიშვნელობისა და მხატვრული ღირებულების წარმოჩენას. ამ დიდ საქმეში მან ორგანულად ჩართო საზღვარგარეთული ქართველოლოგია. უფრო ზუსტად, ერთი მხრივ, გამოიყენა ძველი ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ უცხოელთა მუშაობის შედეგები, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი მეცნიერული შეჯამებით ახალი ამოცანები დაუსახა უცხოელ მკვლევრებს და ამით ერთგვარად წარმართა კიდეც მათი საქმიანობა.

კ. კეკელიძე ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა ძველი ქართული ლიტერატურის დასავლელი სპეციალისტების ნაშუშევარს და თავის შრომებში ხშირად იმოწმებდა მათს პუბლიკაციებს, ხელნაწერთა აღწერილობებს, გამოკვლევებს და სხვ. უკვე მის ადრეულ შრომებში ვხედებით რამდენიმე უცხოელ ავტორს (ა. ჰარნაკს, ო. უორდროპს, ჰ. გუსენს, პ. პეეტერსს და ა. შ.), შემდეგ წლებში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა (მათ დაემატნენ რ. ბლეიკი, ე. ჰონიგმანი, ჟ. გარიტი, დ. ლანგი და ა. შ.). შეიძლება ითქვას, რომ არაერთი უცხოელის ქართველოლოგიური ნაშრომის არსებობა ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ პირველად კ. კეკელიძის შემწეობით გაიგო.

უცხოელთა შრომებს კ. კეკელიძე მხოლოდ ბიბლიოგრაფიული სისრულისათვის არ ასახელებდა. ის მათ ჯეროვნად იყენებდა, სათანადოდ აფასებდა, ზოგჯერ მკაცრადაც აკრიტიკებდა ამა თუ იმ შრომაში წარმოდგენილ თვალსაზრისს (ნათქვამის საილუსტრაციოდ გავიხსენთ კამათი ფ. კონობერთან, თ. კლუგესთან, ფ. დელგერთან, ე. ჰონიგმანთან და სხვა. ან კიდევ ეტიუდი — „კოსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა“, რომელშიც პ. პეეტერსის კრიტიკაა მოცემული); ზოგჯერ არ „ბაყოფილდებოდა უცხოელთა შრომების მხოლოდ დამოწმებით და რეცენზია-ანოტაციებსაც აქვეყნებდა (ამ მხრივ საინტერესოა გამოხმაურება ჰ. გუსენს, რ. ბლეიკის, პ. პეეტერსისა და სხვათა ნაშრომებზე).

კ. კეკელიძემ ერთგვარად შეაჯამა კიდეც საზღვარგარეთელი კოლეგების მეცნიერული მუშაობა. მისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის შესავლის ერთ ნაკვეთში („ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა“) სათანადო ადგილი ეთმობა ძველი ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთელ მკვლევართა საქმიანობის შეფასებას, დამსახურების წარმოჩენასა და შეცდომების მხილებას. აქ მოკლედაა შეჯამებული ის მუშაობა, რომელიც ფ. ალტერმა, მ. ბროსემ, პ. პეეტერსმა, რ. ბლეიკმა, ფ. ფინკმა, ა. ბაუმშტარკმა, ჟ. კარსტმა, ჟ. გარიტმა და სხვა მეცნიერებმა გასწიეს.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. კეკელიძის მეცნიერულ ავტორიტეტს ერთხმად აღიარებდა დასავლური ქართველოლოგია. საკმარისია გავიხსენოთ ის მაღალი შეფასება, რომელიც კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ გამოცემას მისცეს რ. ბლეიკმა და პ. პეეტერსმა.

კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიამ“ არა მარტო მაღალი შეფასება დაიმსახურა, არამედ იმდენად დაინტერესა უცხოეთის სამეცნიერო საზოგადოებრიობა, რომ ჯერ მისი ცალკეული თავები ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულსა და იტალიურ ენებზე, ხოლო შემდეგ გამოქვეყნდა ... პირველი ტომის გერმანული, თავისებურად შევსებულ-შემოკლებული და გადამუშავებული თარგმანი, რომელსაც გულთბილი რეცენზიები უძღვნეს პ. დევომ

საერთაშორისო ცხოვრება
დელეგატის ჟურნალი

გენერალური ასამბლეის სესიაზე

გმობენ ჰეგემონიზმს



ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში დამთავრდა წინასწარი განხილვა საკითხისა „საერთაშორისო ურთიერთობაში ჰეგემონიზმის პოლიტიკის შეუწყნარებლობის შესახებ“, რომელიც დღის წესრიგში შეტანილია საბჭოთა კავშირის ინიციატივით. დისკუსიის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ მსოფლიოში ან მის ამა თუ იმ რაიონში გაბატონებული მდგომარეობის დაკავების მისწრაფებაზე უარის თქმა შეესაბამება დაძაბულობის შენელების განმტკიცების, საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების ინტერესებს.

გამოაცხადებს რა ჰეგემონიზმის პოლიტიკას შეუწყნარებლად, გენერალური ასამბლეა, ეჭვი არ არის, არსებით წვლილს შეიტანს დაძაბულობის შენელების გაღრმავებაში, განაცხადა ბულგარეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. იანკოვმა. შეშფოთებას იწვევს ახლანდელი ცდები შეანელონ ან უკან შემოაბრუნონ დაძაბულობის შენელების პროცესი. ამას, კერძოდ, მოწმობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამას წინათ მომხდარი ამბები, თქვა მან.

მონღოლეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბ. დაშიერენმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმპერიალიზმის, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ექსპანსიონიზმის ძალების ალიანსის საფრთხეს, რომლებიც მსოფლიოს თავს ახვევენ გამალებული შეიარაღების ესკალაციას, რაც იწვევს კონფლიქტების გამწვავებასა და დაძაბულობის ახალი კერების გაჩენას. ორატორმა დაგმო ამ ძალების ცდები „ჰაკუა ასწაულონ“ სხვებს, აგრეთვე ნატოს რაკეტულ-ბირთვული პოტენციალის გადიდების გეგმები, „სწრაფი რეაგირების კორპუსის“ შექმნა სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩასარევად. ამ პირობებში საბჭოთა წინადადებებს განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება, თქვა ბ. დაშიერენმა.

ეთიოპიის წარმომადგენელი ხ. იბრაჰიმი მიესალმა საბჭოთა წინადადებას და ხაზი გაუსვა, რომ ჰეგემონიზმის განხილვაზე უარის თქმა ნიშნავს იმ იმედის უარყოფას, რომ ავაშენოთ სამართლიანი მსოფლიო წყობილება ყველა ხალხის თანასწორობის საფუძველზე.

ერაყის დელეგატმა საიბ ა. კ. ბაფმ მხარი დაუჭირა საბჭოთა რეზოლუციის პროექტს და განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მტკიცედ ილაშქრებს ყოველგვარი ფორმის ჰეგემონიზმის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების მუქარა, რომ ძალას გამოიყენებს ინდოეთის ოკეანესა და სპარსეთის ყურის რაიონში, ადასტურებს, რომ ვაშინგტონი ახორციელებს ჰეგემონიზმისა და დომინირების პოლიტიკას. სიონისტები, რომლებმაც მიიტაცეს არაბული ტერიტორიები და უარყოფენ პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, ასევე ახორციელებენ ჰეგემონიზმის პოლიტიკას, ხაზი გაუსვა მან.

ინგლისი

მ. ტეტჩერის გამოსვლა

ლონდონი, 20 ოქტომბერი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა ლუქსემბურგში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მოითხოვა გამალებული შეიარაღების შემდგომი გააქტიურება.

მან მხარი დაუჭირა „რეალისტურ დიალოგს“ საბჭოთა კავშირთან, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, სოციალისტურ ქვეყნებთან „ყველა დონის“ კონტაქტების განვითარებას და ამავე დროს ნატოს წევრ ქვეყნებს მოუწოდა განაახლონ თავიანთი ბირთვული ძალები, კერძოდ, დასავლეთევროპის ტერიტორიაზე ამერიკის ახალი სარაკეტო ბირთვული იარაღის განლაგების გზით.

მ. ტეტჩერმა კვლავ ცხადყო, რომ ბრიტანეთის თავარობა მზად არის ყოველწლიურად გაზარდოს სამხედრო ასიგნებანი სულ ცოტა 3 პროცენტით, უზრუნველყოს „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ფლოტის, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული „შეკავების სტრატეგიული ბირთვული ძალების“ ეფექტიანობა. შესაბამის გადაწყვეტილებებს, თქვა პრემიერ-მინისტრმა, ქვეყნის თავარობა უახლოეს თვეებში მიიღებს.

ბრიტანეთის თავარობის მეთაურის სამარ მოწოდებებს დიდი შეშფოთებით შეხვდნენ ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივ წრეებში. „უაღრესად სპეშიალ“ უწოდა პრემიერ-მინისტრის სიტყვას დიდი ბრიტანეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლორდმა ბროკუეიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მ. ტეტჩერის გამონათქვამები ხელს არ უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. დიდი ბრიტანეთისა და ნატოს სხვა წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებული გეგმების რეალიზაცია კრიტიკულ სიტუაციას შექმნის მსოფლიოში, ხაზგასმით აღნიშნა ლორდმა, ბროკუეიმ.

გამალებული შეიარაღების გაძლიერების კურსს, რომელსაც პრაქტიკაში ცენტრალური კომიტეტის სანქციით, ეგრეთ წოდებული „ეროვნული ერთიანობა“ ეწინააღმდეგებოდა ეროვნული ერთიანობა, ეროვნული ერთიანობა, ეროვნული ერთიანობა,